ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერის

ა ნ გ ა რ ი შ ი

2017 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ - ს 54-ე მუხლის 1 პუნქტის „ბ.ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად წარმოგიდგენთ ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ

მუნიციპალიტეტის 2017 წლის 12 თვის შემოსულობებმა შეადგინა 13 456.1 ათასი ლარი, ცენტრალური ბიუჯეტიდან მისაღები ფინანსური დახმარებებისა და საანგარიშო პერიოდისათვის არსებული ხარჯების დასაფარავად მიმართული ნაშთის 853.1 ათასი ლარის ჩათვლით მათ შორის:

I გადასახადების სახით ბიუჯეტში მთლიანობაში მობილიზებულია 1 581,7 ათასი ლარი, ნაცვლად დაგეგმილი 1 100.0 ათასი ლარისა (143,7%).

თანხის უდიდესი ნაწილი ქონების გადასახადზე მოდის.

ქონების გადასახადიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 1 206,3 ათასი ლარის შემოსავალი, ნაცვლად დაგეგმილი 650,0 ათასი ლარისა (185,6%).

საშემოსავლო გადასახადმა 375,4 ათასი ლარი შეადგინა, გეგმით განსაზღვრული გვქონდა 450 ათასი ლარი (83,4%).

საანგარიშო პერიოდში გრანტების სახით ბიუჯეტში ჩარიცხულია 8 328,5 ათასი ლარი, გეგმით გათვალისწინებული იყო 6 020,0 ათასი ლარი (138,3%) მათ შორის: საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები 17,6 ათასი ლარი,გათანაბრებითი ტრანსფერი _ 2 467,4 ათასი ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად – 183,0 ათასი ლარი, სხვა-91,1 ათასი ლარი, კაპიტალური ტრანსფერები – 5 569,4 ათასი ლარი.

სხვა შემოსავლები - დაგეგმილი იყო 2 945,3 ათასი ლარი, შემოსულია 2 642,1 ათას ლარი. მათ შორის:

საბანკო პროცენტის სახით საანგარიშო პერიოდში მიღებულია 13,8 ათასი ლარი.

რენტის სახით მობილიზებულია 2 473,4 ათასი ლარი, რაც გეგმის 2 822,7 ათასი ლარის 87,6%-ია. მათ შორის: ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლიდან - 2 470,8 ათასი

ლარი, მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან - 2,6 ათასი ლარი.

საქონელისა და მომსახურების რეალიზაცია გეგმით განსაზღვრული იყო 22,6 ათასი ლარი, საკასო შესრულების შედეგად მიღებული გვაქვს 83,3 ათასი ლარი.(368,5 %) მ/ შორის:

ადმინისტრაციული მოსაკრებლებიდან და გადასახდელებიდან მიღებულმა 71,5 ათასი ლარი შეადგინა, მათ შორის: მოსაკრებელი მშენებლობის ნებართვაზე - 63,4 ათასი ლარი, სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი 0,2 ათასი ლარი.დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელი 7,9 ათასი ლარი.

ხოლო მომსახურების გაწევიდან მიმდინარე პერიოდში მთლიანობაში მიღებულია 11,8 ათასი ლარი.

შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლებიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 8,3 ათასი ლარი, მათ შორის: შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პორგასამტეხლოდან 7,9 ათასი ლარი, ხოლო წინა წელში გამოუყენებელი და დაბრუნებული საბიუჯეტო სახსრები 0,4 ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივებიდან მიმდინარე პერიოდში ჩარიცხულია 50,7 ათასი ლარის შემოსავალი, მათ შორის: 8,5 ათასი ლარი მიღებულია ძირითადი აქტივების გაყიდვიდან, მატერიალური მარაგების გაყიდვიდან – 0,9 ათასი ლარი, ხოლო მიწის გაყიდვიდან - 41,3 ათასი ლარი.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის ასიგნებები

ბიუჯეტის გადასახდელების დამტკიცებულმა გეგმამ შეადგინა 11 017,4 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 10 833,3 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 98,3%-ია

ხარჯების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 7 360,0 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 7 343,8 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 99,8 %-ია. არაფინანსური აქტივების ზრდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 3 356,8 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 3 356,8 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100 %-ია.

ვალდებულებების კლების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 82,0 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 82,0 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100-ია.

სარეზერვო ფონდი განსაზღვრული იყო 2017 წელში 50.0 ათასი ლარი.

გახარჯულია 48.8 ათასი ლარი.

2017 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით სოციალური და ჯანმრთელობის პროგრამების დაფინანსებისათვის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული იყო 529,5 ათასი ლარი, ხარჯმა კი შეადგინა 538 503 ათასი ლარი. ხარჯებიდან ოჯახებისა და ბავშვების სოციალურ დაცას მოხმარდა 101,7 ათასი ლარი, სამედიცინო მომსახურების თანადაფინასებას და მედიკამენტებით დახმარებას 326,7 ლარი, იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარებას 6,450, მძიმე საცხოვრებელ და ეკონომიკურ პირობებში მყოფ, უბედური შემთხვევებისა და სხვადასხვა სტიქიური მოვლენების შედეგადა დაზარალებულ ოჯახებს 80,3 ლარი, საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა და დაზარალებულთა ოჯახებს 22,230 ლარი. მარტოხელა ადამიანთა დაკრძალვის ხარჯებმა შეადგინა 5500 ლარი.

სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება

აღნიშნული მომსახურების თანადაფინასებისათვის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული იყო 325,8 ლარი, ხარჯი კი შეადგინს 326 728 ათას ლარს. ამ მხრივ, სტაციონარული სამედიცინო მომსახურებითა და მედიკამენტების დაფინანსების დახმარებითთ ისარგებლა 1230-მდე ბენეფიციარმა.

დახმარება გაეწია:

1. 18 წელზე მეტი ასაკის პირების (რომელთა სარეიტინგო ქულა 65001-დან 100 000-ის ჩათვლით) დახმარება მიიღო 853 ბენეფიციარმა, რომელთა მომსახურების თანხამ 125,334 ლარი შეადგინა.
2. ონკოდაავადებულ 164 მოქალაქეს ბიუჯეტით გათვალისწინებული სტაციონარული სამედიცინო მომსახურების, მედიკამენტების შეძენისა და ოპერაციის შემდგომი კველევებისათვის გაეწია 40 597 ლარის მომსახურება.
3. თირკმლის უკმარისობით დაავადებული პირები, რომლებიც გადიან დიალეზის კურსს 9 ბენეფიციარს ტრანსპორტირების ხარჯების დასაფარავად გადაერიცხა 11 900 ლარი.
4. შშმ პირების სტაციონარულ სამედიცინო მომსახურებაზე და მედიკამენტების შეძენისათვის გაწეული იქნა 14 042 ლარის მომსახურება.
5. 0-დან 18 წლამდე ასაკის გულით თანდაყოლილი პათოლოგიით დაავადებულ პირებს სამედიცინო მომსახურებისათვის გაეწია 885 ლარის მომსახურება, ხოლო ამავე ასაკის

ეპილეფსიით დაავადებულ პირს 1904 ლარის მომსახურება. ჰემოფილიით დაავადებულმა სამმა ბენეფიციარმა მიიღო 1400 ლარის ფულადი დახმარება.

6. ფენილეტონურიით დაავადებული ბენეფიციარის დახმარების ხარჯმა შეადგინა 12,000 ლარი.
7. ა(ა)იპ განათლების ცენტრს, რომელიც ემსახურება 6-დან 18 წლამდე ასაკის შშმ პირს, კომუნალური ხარჯების მომსახურებისათვის გადაერიცხა 13 000 ლარი.
8. გურიის რეგიონალური ინვალიდთა ასოციაციის შშმ პირთა რეაბილიტაციის ცენტრის მომსახურებით ისარგებლა 10 შშმ პირმა, რომლის მომსახურებისათვის გადაირიცხა 3850 ლარი.

ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა

2017 წლის ბიუჯეტით ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვისათვის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული იყო 94 5 ლარი, ხარჯი კი შეადგენს 101 750 ათას ლარს. ამ მომსახურებით ყოველთვიურად 104 ოჯახი სარგებლობს.

ამ მხრივ თანხები მოხმარდა:

1. მრავალშვილიანმა (4 და მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვები) 27 ოჯახმა მიიღო 34 225 ათასი ლარის ფულადი დახმარება (რომელთა სარეიტინგო ქულა 150 000-მდე)
2. ახალშობილთა 93 ოჯახმა (რომელთა სარეიტინგო ქულა 0-დან 150 000-მდე) მიიღო 18 600 ლარის ფულადი დახმარება.
3. 0-დან 18 წლამდე ასაკის შშმ პირთა ოჯახმა, რომლებიც სარგებლობენ კომუნალური გადასახადით 56 ოჯახს გადაერიცხა 20,010 ლარი (თვეში თითოეულზე 30 ლარი)
4. ყოველთვიურად დახმარებას იღებს დედ-მამით ობოლი სამი ბავშვი (რომელთა ოჯახებს თვეში ერიცხება 100 ლარი) სულ გადაერიცხა 3 ოჯახს 2700 ლარი.
5. ხანდაზმულმა სამმა მოქლაქემ (100 წლის და მეტი ასაკი) მიიღო ფულადი დახმარება 900 ლარი (თითოეულზე 300 ლარი).
6. მარტოხელა მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურებისათვის გაიხარჯა 5000 ლარი.
7. მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებმა ფაშიზმზე გამარჯვების 72-წლისათვის დაკავშირებით მიიღო 500 ლარის ფულადი დახმარება (თითოეულმა 300 ლარი, სათბობი შეშის შესაძენად 200 ლარი).

განსაკუთრებით მძიმე ჯანმრთელობის მდგომარეობის მქონე პირთა ორ ოჯახს გადაერიცხა 3 840 ლარი.

საქართველოს კანონის ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ შესაბამისად შედგენილი და დამტკიცებული იქნა მუნიციპალიტეტის სახელმწიფო შესყიდვების 2017 წლის გეგმა. გეგმაში ასახული იყო მუნიციპალიტეტის მიერ 2017 წლის განმავლობაში განსახორციელებელი ყველა შესყიდვა (საქონელი, მომსახურეობა, სამუშაო). წლის განმავლობაში ბიუჯეტში ამ კუთხით განხორციელებული ცვლილებებისა და სახელმწიფო ბიუჯეტიდან შემოსული ტრანსფერების შესაბამისად რეგულარულად ხდებოდა გეგმის კორექტირება. გეგმაში ასახული იქნა ყველა მიზნობრივი, სპეციალური და კაპიტალური ტრანსფერებით შემოსული თანხები, რომელიც სახელმწიფო შესყიდვას ექვემდებარებოდა. სამსახურის მიერ განხორციელებული იქნა ღონისძიებები წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების შეუფერხებლად ფუნქციონირებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მიზნით.

სახელმწიფო შესყიდვები განხორციელებული იქნა საქართველოს კანონის ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ შესაბამისად მთავარი პრინციპების დაცვით, კერძოდ, საანგარიშო პერიოდში განხორციელებულმა შესყიდვებმა უზრუნველყო ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვა. მუნიციპალიტეტის საჭიროებისათვის აუცილებელი საქონლის, მომსახურეობის და სამუშაოს შესყიდვის პროცესში ხელი შეუწყო ჯანსაღი კონკურენციის განვითარებას, შესყიდვებში მონაწილეების მიმართ სამართლიან და არადისკრიმინაციულ მიდგომას, ამაღლდა მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული შესყიდვების საჯაროობის დონე, რამაც საზოგადოებაში ჩამოაყალიბა ნდობა ჩვენს მიერ განხორციელებული შესყიდვების მიმართ. შესყიდვები განხორციელდა გამჭვირვალედ. ელექტრონულ სისტემაში შესყიდვების განხორციელების დროს ,,კითხვა-პასუხის“ ველში დასმულ შეკითხვებს სატენდერო კომისია და აპარატი კანონით გათვალისწინებულ ვადებში ყოველგვარი შეფერხების გარეშე ცემდა პასუხს.

2017 წელში მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული იქნა ადგილობრივი ბიუჯეტით 271,6 ათასი ლარის შესყიდვა, სახელმწიფო ბიუჯეტით ბოლო დაზუსტებით 3300,9. ათასი ლარის შესყიდვა, დადებული იქნა 227 ხელშეკრულება: გამარტივებული შესყიდვით -

131 ხელშეკრულება, ელექტრონული ტენდერით - 81 ხელშეკრულება, კონსოლიდირებული ტენდერით - 15 ხელშეკრულება.

სულ ჩატარებული იქნა 101 ტენდერი, მათ შორის: ელექტრონული ტენდერი 81, უარყოფითი შედეგით დასრულდა 3, არ შედგა 11 ტენდერი, შეწყვეტილი იქნა 6 ტენდერი.

ელექტრონული ტენდერები ჩატარებული იქნა მონეტარული ზღვრების სრული დაცვით. ადგილი არ ქონია შესყიდვების ხელოვნურად დაყოფას. ტენდერები ჩატარებული იქნა აუქციონის გარეშე, რამაც განაპირობა ტენდერების ჩატარება პრეტენდენტებისათვის სამართლიან და კონკურეციულ გარემოში.

შემსყიდველ ორგანიზაციაზე საანგარიშო პერიოდში ადგილი არ ქონია სახელმწიფო შესყიდვების კანონის დარღვევას. შესაბამისად ადგილი არ ქონია ადმინისტრაციულ კოდექსით გათვალისწინებული სანქციების დაკისრებას.

შესყიდვების განხორციელების მიმდინარეობისას არ წარმოშობილა დავა შემსყიდველ ორგანიზაციასა და პრეტენდენტს შორის.

2017 წლის 26 იანვრის N131 განკარგულებით (ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ) ბოლო დაზუსტებით გამოყოფილი იყო - 48100 ლარი, გაფორმდა 5 ხელშეკრულება.

2017 წლის 26 აპრილის N824 განკარგულებით (სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე) გამოყოფილი თანხაა - 700 000 ლარი. აღნიშნული განკარგულებით გაფორმდა - 22 ხელშეკრულება.

2017 წლის 14 მარტის N480 განკარგულებით (საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს ბოლო დაზუსტებით გამოეყო - 2 687 164 ლარი, რომელშიც გათვალისწინებულია ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი -5%. აღნიშნული განკარგულებით გაფორმდა 20 ხელშეკრულება.

ტენდერების ჩატარებას უზრუნველყოფდა მერის ბრძანებით შექმნილი სატენდერო კომისია - 5 კაცის და აპარატი - 4 კაცის შემადგენლობით. ჩატარებული იქნა სულ 311 კომისიის სხდომა.

ხელშეკრულების პირობების შესრულებას და მიღება-ჩაბარებას მომსახურეობისა და სამუშაოს კუთხით უზრუნველყოფდა მერის ბრძანებით შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი, რომლის მიერ ადგილზე ხორციელდა შესყიდვების ინსპექტირება და ხელშეკრულების პირობების შესრულებისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

ინსპექტირების ჯგუფის მიერ საჯარიმო სანქცია დაერიცხა 15 მიმწოდებელს, შესყიდვების სააგენტოს გადაეგზავნა კანონით გათვალისწინებული დოკუმენტაცია 1 მიმწოდებლის შავ სიაში განთავსების მიზნით. შესრულებულ მომსახურეობასა და სამუშაოებზე შედგენილი იქნა მიღება-ჩაბარების აქტები და ექსპერტიზის დასკვნები, გაცემული ლევან სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს ან აკრედიტირებული საექსპერტო ორგანოების მიერ. დასკვნების საფუძველზე ჩანს, რომ სამუშაოების შესრულების ხარისხი არის დამაკმაყოფილებელი.

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14 მარტის N480 განკარგულების საფუძველზე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისათვის გამოეყო 2 552 808 ლარი, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსებამ შეადგინა 134 356 ლარი, სულ 2 687 164 ლარი. აღნიშნული თანხით განხორციელდა შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები. კერძოდ:

1. დაბა ჩოხატაურში დოლიძის ქუჩის ასფ/ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები , თანხით - 288888 ლარი;
2. დაბა ჩოხატაურში რამიშვილისა და ბურჭულაძის ქუჩების ასფ/ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები, თანხით - 249900 ლარი;
3. დაბა ჩოხატაურში გურიის ქუჩის ასფ/ბეტონის საფარის მოწყობის, ნინოშვილისა და გურამიშვილის შესახვევებში წყალგამტარი მილებისა და არხების მოწყობის სამუშაოები, თანხით - 122763 ლარი;
4. დაბის კეთილმოწყობის სამუშაოები, კერძოდ: N1 ბაგა-ბაღის კეთილმოწყობის, რუსთაველის ქუჩის შესახვევში ტროტუარებისა და სავაჭრო პავილიონის მოწყობის, გოგებაშვილის ქუჩის მიმდებარედ მინი სტადიონის მოწყობის სამუშაოები, თანხით - 88487 ლარი;
5. დაბა ჩოხატაურში, კოსტავას ქუჩაზე სასწრაფო დახმარების ცენტრის მშენებლობის სამუშაოები, თანხით -142655 ლარი;
6. ვანზომლეთის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ ზომლეთში ძველი ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაციის სამუშაოები საბავშვო ბაღის, ბიბლიოთეკისა და ახალგაზრდული ცენტრის განთავსების მიზნით, თანხით - 102047 ლარი;
7. ამაღლების ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ ამაღლებაში კულტურის სახლის რეაბილიტაციის სამუშაოები, თანხით - 123000 ლარი;

8. ფარცხმის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ შუაფარცხმაში სკვერის მოწყობის სამუშაოები, თანხით - 88200 ლარი;
9. ადმინისტრაციული ერთეულების, საჭამიასერისა და ზემოხეთის ადგილობრივი მნიშვნელობის გზების რეაბილიტაციის სამუშაოები, თანხით -91431 ლარი;
10. ქვენობნისა და ხიდისთავის ადმინისტრაციული ერთეულების სოფლების ბუკნარი-ქვენობანი-ხიდისთავის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაციის სამუშაოები, თანხით -281852 ლარი;
11. ნაბეღლავი -ხევი - ზოტის ადმინისტრაციულ ერთეულებში ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე ასფ/ბეტონის მოწყობის სამუშაოები, თანხით - 149336 ლარი;
12. ხიდისთავი-ჯვარცხმის ადმინისტრაციულ ერთეულებში ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე ასფ/ბეტონის მოწყობის სამუშაოები თანხით - 87900 ლარი;
13. კოხნარი - საჭამიასერის ადმინისტრაციულ ერთეულებში ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე ასფ/ბეტონის მოწყობის სამუშაოები, თანხით -155885 ლარი;
14. ერკეთი - გორაბერეჟოულის ადმინისტრაციულ ერთეულებში ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე ასფ/ბეტონის მოწყობის სამუშაოები, თანხით -99407 ლარი;
15. გუთური - დაბლაციხის ადმინისტრაციულ ერთეულებში ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე ასფ/ბეტონის მოწყობის სამუშაოები, თანხით - 100369 ლარი;
16. ფარცხმის ადმინისტრაციულ ერთეულებში სოფელ შუაფარცხმასა და სოფელ ზემოფარცხმაში ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე ასფ/ბეტონის მოწყობის სამუშაოები, თანხით - 99721 ლარი;
17. გოგოლესუბანი - შუაამაღლების ადმინისტრაციულ ერთეულებში ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე ასფ/ბეტონის მოწყობის სამუშაოები, თანხით -98685 ლარი;
18. ვან-ზომლეთის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფ. ვანის ძველი ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაციის სამუშაოები ბიბლიოთეკისა და ახალგაზრდული ცენტრის განთავსების მიზნით და გორაბერეჟოულის ადმინისტრაციულ ერთეულში ხანძრის შედეგად დაზიანებული ყოფილი ადმინისტრაციული შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები, თანხით - 89000 ლარი;
19. ქვენობნის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ ბასილთის საბავშვო ბაღის რეაბილიტაციის სამუშაოები, თანხით - 58888 ლარი;
20. ბუკისციხის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ ბუკისციხის საბავშვო ბაღის მშენებლობის სამუშაოები – 150000 ლარი.

21. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის დაბა ჩოხატაურში სასწრაფო დახმარების ცენტრის მშენებლობის მეორე ეტაპი, თანხით - 18750 ლარი. პროექტი განხორციელდება 2018 წელს.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 ნოემბრის N2529, 2016 წლის 21 მარტის N485 და 2016 წლის 28 ივლისის N1533 განკარგულებებით განხორციელებული პროექტებიდან დარჩენილი ეკონომიის თანხით განხორციელდა ზომლეთის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ ზომლეთში წყალმომარაგების ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოები თანხით - 9171 ლარი.

ასევე, ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით განხორციელდა შემდეგი პროექტები: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი და შიდა სასოფლო მნიშვნელობის გზების თოვლისა და შვავებისაგან გაწმენდის სამუშაოები, თანხით - 42315 ლარი. კოხნარის ადმინისტრაციულ ერთეულში საზოგადოებრივი ცენტრის მშენებლობის გარე პერიმეტრის ეზოს კეთილმოწყობისა სამუშაოები, თანხით - 30000 ლარი, განხორციელდა მაწანწალა ძაღლების მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან გაყვანა, თანხით - 4500 ლარი, ხევის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ ხევის საბავშვო ბაღის შეკეთების სამუშაოები, თანხით - 3354 ლარი, ბუკისციხის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ იანეულში, მუნიციპალური შენობის აღდგენის სამუშაოები, თანხით - 4883 ლარი, ხიდისთავის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ ხიდისთავში შიდა გზებზე ასფ/ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები, თანხით - 15000 ლარი, ჩოხატაური-საჭამიასერის დამაკავშირებელ გზაზე შემოვლითი გზის მოწყობის სამუშაოები, თანხით - 2960 ლარი, დაბის ტერიტორიაზე ქუჩების გზის საფარის ჰორიზონტალური მანიშნებლისა და საგზაო ნიშნების მოწყობის სამუშაოები, თანხით - 21442 ლარი.

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 ქპრილის N824 განკარგულების შესაბამისად ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს აპრილის თვეში ძლიერი ქარის შედეგად მიყენებული ზარალის სალიკვიდაციოდ გამოეყო 700000 ლარი, აქედან 300000 ლარი გაიხარჯა ინფრასტრუქტურული ობიექტების აღდგენით სამუშაოებზე, კერძოდ:

1. ქვენობნის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ ბუკნარის საბავშვო ბაღისა და გუთურის ადმინისტრაციულ ერთეულში ბავშვთა მზაობის ცენტრის შენობის სახურავების აღდგენით სამუშაოებზე, თანხით - 38510 ლარი;
2. საჭამიასერის ადმინისტრაციულ ერთეულში ადმინისტრაციული შენობის და საბავშვო ბაღის შენობის სახურავების აღდგენის სამუშაოებზე, თანხით - 40058 ლარი;

3. დაბა ჩოხატაურში სპორტული სკოლისა და ცენტრალური სტადიონის ტრიბუნის სახურავების აღდგენის სამუშაოებზე, თანხით - 142645 ლარი;
4. ზემოსურების ადმინისტრაციულ ერთეულში ადმინისტრაციული შენობის, ამბულატორიისა და დიდივანის ადმინისტრაციულ ერთეულში ადმინისტრაციული შენობის სახურავების აღდგენის სამუშაოებზე, თანხით - 34183 ლარი;
5. დაბა ჩოხატაურში 26 ბინიანი სახლის კედლის შეფუთვისა და ფარცხმის ადმინისტრაციული შენობის სახურავის აღდგენის სამუშაოებზე, თანხით - 44626,5 ლარი;

6000 ლარით განხორციელდა აღნიშნული სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა.

334000 ლარი გაიხარჯა სტიქიის შედეგად დაზიანებული კერძო საცხოვრებელი სახლების თუნუქისა და სხვა მასალების შესაძენად.

საქართველოს მთავრობის 10 აგვისტოს N1665 განკარგულების საფუძველზე 60000 ლარი მიემართა სტიქიის შედეგად დაზიანებული კერძო საცხოვრებელი სახლების აღდგენისთვის საჭირო საქონლის (სამშენებლო მასალების) შესყიდვაზე.

აღნიშნულ სამუშაოებსა და მომსახურებებზე ჩატარებული ელექტრონული ტენდერების შედეგად მიღებული ეკონომიის თანხა 79000 ლარი საქართველოს მთავრობის 2017წლის N2162 განკარგულების საფუძველზე მიემართა სტიქიის შედეგად დაზიანებული შემდეგი ინფრასტრუქტურული ობიექტების აღდგენის სამუშაოებზე, კერძოდ: კოსტავას ქუჩაზე სასწრაფო სამედიცინო სადგურის რკ/ბეტონის მილისა და ასფ/ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოებზე, თანხით - 29964 ლარი; ზემოხეთი-თხილაგანის გზის პირველ კილომეტრში მილხიდის მოწყობის სამუშაოებზე, თანხით - 19044 ლარი; სოფელ ამაღლებაში მუკბანიანის ჩასახვევში გზის რეაბილიტაციის სამუშაოებზე, თანხით - 9960 ლარი; დაბის ტერიტორიაზე მათითაიშვილის ქუჩაზე სანიაღვრე არხების აღდგენის სამუშაოებზე, თანხით -18486 ლარი; აღნიშნული სამუშაოების ეკონომიის თანხიდან 4711 ლარი მიემართა სოფელ საჭამიასერში სტიქიის შედეგად ჩავარდნილი ხიდის ადგილზე დროებითი ხიდის მოწყობის სამუშაოებზე.

მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ერთერთ მნიშვნელოვან ფუნქციას წარმოადგენს მშენებლობის ნებართვების გაცემა და მშენებლობებზე მონიტორინგი. გამომდინარე აქედან არქიტეტქურისა და სივრცითი მოწყობის სამსახური ახორციელებდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის ან სადემონტაჟოდ გაცემული ნებართვების აღრიცხვას.

2017 წელს სამსახურის მიერ პასუხგაცემულია 429 კორესპოდენცია, გაიცა 33 მშენებლობის ნებართვა და 29 შეთანხმება, რომლიდანაც მშენებლობის მოსაკრებლის სახით შემოვიდა 63 643 ლარი.

სამსახური აქტიურად იყო ჩართული კურორტ ბახმაროს ქალაქმშენებლობითი და მიწათსარგებლობის გეგმის შემუშავებაში. როგორც თქვენთვის ცნობილია საქართველოს მთავრობის 2016 წლის 25 თებერვლის #317 განკარგულების-„ბახმაროს საკურორტოს ზონის განვითარების ზოგიერთ ღონისძიებათა განხორციელების თაობაზე“ - შესაბამისად საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ გამოაცხადა ტენდერი აღნიშნული დოკუმენტის მომზადების შესყიდვის მიზნით.

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების მართვისა და ზედამხედველობის სამსახურის საქმიანობის ორგანიზება ხორციელდებოდა სამსახურის დებულებით, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების საფუძველზე.

2017 წლის განმავლობაში სამსახურის მიერ მიღებულია და პასუხგაცემულია რეზოლუციით დაწერილი სამოქალაქო და სხვადასხვა უწყებებიდან ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის მეშვეობით შემოსული 2350 ერთეული წერილობითი კორესპოდენცია. მათ შორის ,,სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველო კანონით მუნიციპალიტეტისათვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში სამსახურმა აქტიური მონიტორინგი გაუწია შესაბამისი დაინტერესებული პირების მიერ საკუთრების უფლების რეგისტრაციის მიზნით წარმოდგენილი მიწის ნაკვეთების იდენტურობის დადგენას.

ამასთან აღსანიშნავია, რომ სამსახური შესაბამისი საჭიროებიდან გამომდინარე, ახორციელებდა სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ქონების მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის მიზნით, ღონისძიების გატარებას, რაც 2017 წლის განმავლობაში ვერ განხორციელდა იმ მიზეზით, რომ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ არ დაკმაყოფილდა მუნიციპალიტეტის მოთხოვნები ქონების საკუთრების უფლებით გადმოცემის შესახებ, რის გამოც შეფერხდა მუნიციპალური ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა ან/და პრივატიზება. აღნიშნულმა განაპირობა, რომ 2017 წლში მუნიციპალური ქონების პრივატიზებიდან ადგილობრივ ბიუჯეტში შემოსულია მხოლოდ 8514 ლარი.

ზედამხედველობის განყოფილება მიმდინარე წელში პერიოდულად აწარმოებს მონიტორინგს და ადგილზე კონტროლდება მშენებლობის სანებართვო პირობების დარღვევით მიმდინარეობა.

ზედამხედველობის განყოფილების სპეციალისტები მონაწილეობას ღებულობენ მუნიციპალიტეტში შექმნილ სხვადასხვა მუდმივმოქმედ კომისიებში, ინფრასტრუქტურული ობიექტების ინსპექტირებაში, მოთხოვნების შესაბამისად გაცემულია მითითებები და შემოწმების აქტები (39 მითითება, აქდან 34 კურორტ ბახმაროში, 19 ჯარიმა იქნა გადაგზავნილი). სანებართვო პირობების დარღვევისათვის შემოსულია მხოლოდ 400 ლარი, რაც ძალზე ცოტაა და ამ მიმართულებით მუშაობა გამოსასწორებელია.

სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნით დამტკიცებული 3 წლიანი სტრატეგიული გეგმის შესაბამისად, შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის მიერ შემოწმებული იქნა 7 არასამეწარმეო, არაკომერციული, იურიდიული პირი.

1.ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბ „ბახმარო“-ს შესაბამისობის აუდიტი, 2016 წლის საანგარიშო პერიოდისთვის: შემოწმება ჩატარდა იმ ბუღალტრული დოკუმენტაციის საფუძველზე რომელიც წარმოდგენილი იქნა ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბ „ბახმარო“-ს ხელმძღვანელობის მიერ.

შემოწმების შედეგად გამოვლინდა ნაკლოვანებები და ხარვეზები.

კერძოდ:

ა) კლუბის მენეჯმენტის მიერ წლის განმავლობაში, ვერ იქნა ხარჯვითი ნაწილის კონტროლის უზრუნველყოფა,რამაც გამოიწვია კრედიტორული დავალიანება.

ბ) არ ხდებოდა კლუბის ვალდებულებების გასტუმრება, დაფინანსების წყაროების მიხედვით, რამაც გამოიწვია ბავშვთა ფეხბურთის აკადემიასთან კრედიტორული დავალიანების წარმოშობა. მიუხედავად იმისა რომ ადგილობრივმა ბიუჯეტმა გაზარდა დაფინანსება დასაწყისში დაგეგმილთან შედარებით.

გ) არ ხდებოდა შესყიდვის განხორციელებისას, შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტების სრულყოფილად წარმოდგენა.

2. ა(ა)იპ „კულტურის ცენტრი“-ს ფინანსური აუდიტი, 2015-2016 წლების საანგარიშო პერიოდისთვის:

გამოვლენილია რიგი ნაკლოვანებებისა:

ქონების ინვენტარიზაციის განხორციელებისას საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის #605 ბრძანებით დამტკიცებული ,,საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესი“-ს გაუთვალისწინებლობა.

3.ა(ა)იპ „ჯანდაცვის ცენტრი“-ს ფინანსური აუდიტი, 2015-2016 წლების საანგარიშო პერიოდისთვის:

მთლიანობაში შეიძლება ითქვას რომ არსებული ფინანსური და ადამიანური რესურსის ხარჯზე ორგანიზაცია ახერხებს დასახული მიზნის მიღწევას. თუმცა მიუხედავად იმისა რომ ცენტრს გააჩნია ყველა შესაბამისი საშტატო ერთეული და ადამიანური რესურსი ვერ ხერხდება კანონით გათვალისწინებული ყველა ნორმისა და მოთხოვნის სიზუსტით დაცვა. ეს ეხება საბუღალტრო ოპერაციებს,სახელმწიფო შესყიდვებს,საწვავის ჩამოწერას.

4.ა(ა)იპ „საბიბლიოთეკო გაერთიანებ“-ის შესაბამისობის აუდიტი, 2016 წლის საანგარიშო პერიოდისთვის:

ა(ა).ი.პ ,,საბიბლიოთეკო გაერთიანები‘‘-ს 2016 წლის ფინანსური აუდიტის შედეგები გვაძლევს საშუალებას გამოვთქვათ მოსაზრება რომ, გაერთიანების ადმინისტრაციის მიერ ვერ ხერხდება როგორც საბუღალტრო აღრიცხვის სრულყოფა, ასევე სახელმწიფო შესყიდვების კანონის მოთხოვნების სრულად დაცვა. რაც წინა წლეების შემოწმების ანგარიშშიც მოხვდა, მაგრამ მიუხედავად ამისა ადმინისტრაცია ვერ ახერხებს რეკომენდაციების გათვალისწინებას.

5.ა(ა)იპ „მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი“-ს ფინანსური აუდიტი, 2016 წლის საანგარიშო პერიოდისთვის:

აქაც უნდა აღინიშნოს რომ, მიუხედავად შიდა აუდიტის ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციებისა, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ,,მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი‘‘-ს ადმინისტრაცია ვერ ახერხებს რეკომენდაციების გათვალისწინებას, რაც 2016 წლის საანგარიშო პერიოდის შემოწმებსას აღმოჩენილ ხარვეზებში კარგად ჩანს.

6.შპს „ჩოხატაურის აგრარული ბაზრი“-ს ფინანსური აუდიტი, 2015-2016 წლეების საანგარიშო პერიოდისთვის:

2015-2016 წლის ფინანსური აუდიტი გვაძლევს საშუალებას გამოვთქვათ მოსაზრება რომ, შ.პ.ს. „აგრარული ბაზრი“-ს გამართულად ფუნქციონირებისათვის საჭირო პროცესები ვერ იმართება სრუყოფილად ორგანიზაციის ადმინისტრაციის მიერ. რაც ანგარიშში სრულად არის ასახული.

7.ა(ა)იპ კომუნაური სამსახური „სხივი“-ს შესაბამისობის აუდიტი, 2016 წლის საანგარიშო პერიოდისთვის: გამოვლენილია რიგი ხარვეზებისა,

ა. ადგილი აქვს საწვავის ჩამოწერას სრულყოფილი დოკუმენტაციის გარეშე.

ბ. დარღვეულია ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების დეკლარირების პროცედურები.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახური მუშაობას წარმართავდა მერიის დებულებისა და ადმინისტრაციული სამსახურის დებულების შესაბამისად. სამსახურის თანამშრომლები დებულებით განსაზღვრულ ფუნქცია-მოვალეობებს ახორციელებენ სამუშაოთა აღწერილობების შესაბამისად.

ადმინისტრაციული სამსახური ფუნქციურ დანიშნულებათა მიხედვით იყოფა შემდეგ ქვედანაყოფებად (განყოფილებებად):

საქმისწარმოებისა და საინფორმაციო მომსახურების განყოფილება;

ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება;

იურიდიული განყოფილება;

საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება;

ანალიტიკური განყოფილება;

ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენლებთან ურთიერთობის განყოფილება.

საქმისწარმოებისა და საინფორმაციო მომსახურების განყოფილების ძირითადი ფუნქცია მერიასა და საკრებულოში საქმიწარმოების ორგანიზაცია და დოკუმენტების შესრულების კონტროლია. მუნიციპალიტეტის გამგეობაში საქმიწარმოება მიმდინარეობს ელქტრონულ სისტემის (eDocument v3) მეშვეობით.

საანგარიშო პერიოდში განყოფილების მიერ რეგისტრაციაში გატარდა:

-სახელმწიფო კანცელარიიდან, საქართველოს პარლამენტიდან, სხვადასხვა სამინისტროებიდან, დეპარტამენტებიდან, გურიის სამხარეო ადმინისტრაციიდან, მუნიციპალიტეტის ფარგლებს

გარეთ არსებული დაწესებულებიდან, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ორგანიზაციებიდან და მოქალაქეებიდან შემოსულია სულ - 8358 კორესპოდენცია;

- რეგისტრირებულია შიდა კორესპოდენცია - 2443;

- საანგარიშო პერიოდში შეიქმნა და გაიგზავნა - 5270 წერილი;

- მომზადდა ბრძანება - 1974.

საანგარიშო პერიოდში რეგისტრირებული იქნა საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მიერ გაცემული 694 მოწმობა, გასული წერილი - 1003, განკარგულება - 24;

-რეგისტრირებულია მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების შესახებ - 374 განცხადება. მიენიჭა სტატუსი - 318 პირს, გაიცა 57 ცნობა. გზავნილისათვის შესრულდა 78 რეესტრი.

საანგარიშო პერიოდში რეგისტრირებულია მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსული - 285 კორესპოდენცია.

- შიდა კორესპოდენცია - 301;

-რეგისტრირებულია:

ბრძანება - 243;

გადაწყვეტილება - 187;

განკარგულება - 127;

დადგენილება - 53.

მუნიციპალიტეტის საკრებულოში შეიქმნა და გაიგზავნა 269 კორესპოდენცია. აღნიშნულ პერიოდში მოხდა გამგეობის და საკრებულოს 2017 წლის ნომენკლატურის შედგენა.

მოქალაქის მოთხოვნის შესაბამისად განყოფილებამ უზრუნველყო 1500 მოქალაქის მიღება მუნიციპალიტეტის გამგებლის, შემდგომ მერის მიერ.

იურიდიული განყოფილების მიერ საანგარიშო პერიოდში გაწეულ იქნა შემდეგი სახის სამუშაოები:

- 2017 წლის განმავლობაში უშუალოდ განყოფილების მიერ მომზადდა და საკრებულოს სხდომაზე გატანილი იქნა 15 დადგენილების პროექტი მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ სხვადასხვა საკითხებზე;

- შესწავლილ იქნა და სამართლებრივი დასკვნა მომზადდა მერიის რეორგანიზაციის პროცესში მერიის სტრუქტურული ერთეულების დებულების დამტკიცების შესახებ საკრებულოს დადგენილების პროექტებზე. ასევე, სამართლებრივი დასკვნა მომზადდა მერიის

სტრუქტურული ერთეულების მიერ საკრებულოში შეტანილ ყველა სამართლებრივი აქტის პროექტზე;

- ვიზირება გაუკეთდა მუნიციპალიტეტის გამგებლის/მერის 1974 ბრძანებას;

-განხორციელდა მერიის კანონიერი ინტერესების დაცვა სასამართლოში ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეებზე მიმდინარე სამართალწარმოების პროცესში;

- პერიოდულად მიმდინარეობს მერიის სტრუქტურული ერთეულების, მერის წარმომადგენლებისა და სხვა საჯარო მოხელეების სამართლებრივი დახმარების გაწევა და იურიდიული კონსულტირება;

- განხილული და პასუხგაცემული იქნა განყოფილების კომპეტენციას მიკუთვნებული კორესპოდენციები, განცხადება/საჩივრები;

-ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეორგანიზაციის განხორციელების პროცესში მომზადდა შესაბამისი სარეგისტრაციო დოკუმენტაცია;

- განყოფილების თანამშრომლები შედიან სხვადასხვა კომისიის შემადგენლობაში (თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის საქმიანობის სამართლებრივ უზრუნველყოფას ახორციელებს განყოფილების უფროსი სპეციალისტი სამართლებრივი უზრუნველყოფის საკითხებში და სასამართლოში მიმდინარე სამართალწარმოებისას იცავს კომისიის კანონიერ ინტერესებს).

ადმინისტრაციული სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება უზრუნველყოფს:

- კონტროლს საკადრო პოლიტიკის განხორციელებისა და ადამიანური რესურსების მართვის სფეროში;

- მუნიციპალიტეტის მერიის მოსამსახურეთა ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსის ჩატარების ორგანიზებას;

- მუნიციპალიტეტის მერიის შტატგარეშე და დამხმარე მოსამსახურეებთან შრომითი ხელშეკრულებების გაფორმება-აღრიცხვისა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვის ორგანიზებას. გამარტივებული კონკურის საფუძველზე 2017 წელს შტატგარეშე მოსამსახურის პოზიციაზე აყვანილ იქნა და გაფორმდა შრომითი ხელშეკრულება 7 (შვიდ) პირთან;

- მერიის საჯარო მოსამსახურეთა პირადი საქმეების წარმოებას, მერიის საჯარო მოსამსახურეთა მიერ ,,საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული, წარმოდგენილი დოკუმენტაციის სისრულეში მოყვანას და მათი შესაბამისობის პერიოდულ შემოწმებას;
- მერიის საჯარო მოსამსახურეთა სამსახურებრივი გადაადგილების და დენადობის თაობაზე სტატისტიკური მონაცემების დამუშავებას, მათ პერიოდულ ანალიზსა და შეფასებას;
- ახორციელებს ადამიანური რესურსების მართვის ელექტრონულ პროგრამაში - eHRMS, მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოხელეთა (მათ შორის შტატგარეშე მოსამსახურეთა) საბოლოო მონაცემების დამუშავება-განახლებას;

განყოფილების მიერ მერიის სტრუქტურული ერთეულების უფროსებსა და მოხელეებთან კონსულტაციების შედეგად შემუშავებული იქნა ახალი სამუშაოთა აღწერილობები;

მომზადდა და მუნიციპალიტეტის მერის ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით სამოქმედოდ მიღებული იქნა პროფესიულ საჯარო მოხელეთა შეფასების წესი და პირობები;

საჯარო მოხელეთა უწყვეტი სწავლების ფორმატში მომზადდა და მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმების საფუძველზე საკრებულოს მიერ დამკიცებული იქნა 2017 წლის წლიური სასწავლო გეგმა;

საანგარიშო პერიოდში საქმისწარმოების ელექტრონული სისტემით შემოვიდა, განხილულ იქნა და დასაბუთებული პასუხი გაეცა 23 (ოცდასამი) მოქალაქის განცხადებას დასაქმების შესახებ;

სწორად ორგანიზებული ადამიანური რესურსების მართვის პროცესი გულისხმობს საჯარო მოხელეთა განვითარებაზე მუდმივ ზრუნვას, რაც გამოიხატება მოხელეთა სწავლებასა და კვალიფიკაციის ამაღლებაში. პერსონალის სწავლების ძირითადი მიზანია გაზარდოს როგორც თანამშრომლების, ისე ორგანიზაციის შესაძლებლობები. როდესაც დაწესებულება ინვესტირებას აკეთებს თანამშრომლის სწავლებაში, მისი უნარებისა და ცოდნის გაუმჯობესებაში, ის მას უკან უბრუნდება პროდუქტიულობისა და ეფექტურობის სახით. ამ მიზნით, ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა 2017 წლის წლიური სასწავლო გეგმის შესაბამისად გადამზადდა მერიის 26 (ოცდაექვსი) მოხელე;

,,საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 130-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად განყოფილებამ სსიპ საჯარო სამსახურის ბიუროსა და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიაწოდა ინფორმაცია მუნიციპალიტეტის მერიაში დასაქმებულ საჯარო მოხელეთა სტატისტიკური მონაცემების შესახებ.

ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლებთან ურთიერთობის განყოფილების ძირითადი ფუნქცია ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლებსა და მუნიციპალიტეტის მერს შორის კომუნიკაციაა. ამ განყოფილების მიერ ხდება ადმინისტრაციული ერთეულებიდან სტატისტიკური თუ სხვა ინფორმაციის მიღება, დამუშავება და საჭიროების შემთხვევაში გადაგზავნა. საანგარიშო პერიოდის შესახებ განყოფილებას გააჩნია შემდეგი ინფორმაცია:

- უზრუნველყო შეხვედრებისა და თათბირების ორგანიზება მერის წარმომადგენლებთან;

-უზრუნველყო მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ,,აზიური ფაროსანას წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებების“ დაგეგმარება და შესრულება, რის შედეგადაც მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შეიწამლა 1707 ჰექტარი თხილით და 3180 ჰექტარი სიმინდის კულტურით გაშენებული ფართობები;

- სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორის ადმინისტრაციიდან შემოსული იყო 46 წერილი შემდგომი რეაგირებისთვის (ამინდის გაუარესების შესახებ, უფასო პროფესიულ განათლებასთან დაკავშირებით, ცხოველთა ვაქცინაციის შესახებ, მერის წარმომადგენელთა აქტივობის შესახებ, საგანგებო სიტუაციებში მზადყოფნასთან დაკავშირებით,) რაც დროულად მიეწოდებოდა მერის წარმომადგენლებს მოსახლეობის ინფორმირებისათვის;

- მომზადებული და გადაგზავნილი იყო წერილები ,,ენერგო-პრო ჯორჯიას“ ადგილობრივ სერვისცენტრში რათა მომხდარიყო ელექტროენერგიის მიწოდება შემდგომი ფუნქციონირებისათვის, მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსზე რიცხული შენობა-ნაგებობებისათვის;

- ,,სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის ფარგლებში“ - შემოსული იყო 1472 წერილი, რომლებიც გადაეგზავნა მერის წარმომადგენლებს შემდგომი რეაგირებისთვის;

- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან შემოვიდა 36 (ოცდათექსმეტი) წერილი პიროვნების იდენტიფიკაციასთან დაკავშირებით, რასაც დროის უმოკლეს ვადაში გაეცა პასუხი;

- 9 სხვადასხვა უწყებიდან შემოსული იქნა 9 წერილი, რაზედაც დროის უმოკლეს ვადაში მოკვლეული და გადაგზავნილი იქნა ინფორმაცია შესაბამის საკითხებთან დაკავშირებით.

მერის წარმომადგენლებთან ურთიერთობის განყოფილება კომუნიკაციას ამყარებს სოფლის მეურნეობის საინფორმაციო ცენტრსა და მერის წარმომადგენლებს შორის სხვადასხვა სახის ღონისძიების გატარებასთან დაკავშირებით (ხვნა-თესვა, ხილისა და ციტრუსის ჩაბარება, კოპერატივებისა და ამხანაგობების ჩამოყალიბება).

ანალიტიკური განყოფილება - მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს კომპიუტერები ჩართული არის ერთიან ქსელურ სისტემაში, რომელთა ქსელში მუშაობას უზრუნველყოფს სერვერები. 2017 წელს მოხდა ქსელის მოდერნიზაცია (პროგრამირება ყოველი კვირის დასაწყისში). ქსელში ჩართული არის 70 კომპიუტერი, 2017 წელში მოხდა ამ კომპიუტერთა აბსოლუტურ უმრავლესობაზე ოპერატიული სისტემის და პროგრამის გაახლება, ასევე ახალ შეძენილი 12 კომპიუტერზე ოპერატიული სისტემისა და პროგრამების ჩაწერა.

მუნიციპალიტეტის მერიას გაჩნია მონაცემთა ბაზა. რომელშიც თავმოყრილია მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დემოგრაფიული მონაცემები. 2017 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა არსებული მონაცემთა ბაზის განახლება, რაც გულისხმობს დაზუსტებული ინფორმაციის ეტაპობრივად შეტანას ბაზაში. ამავე დროს ინტენსიურად ხდება მუნიციპალიტეტის ვებგვერდსა და სოციალური გვერდზე (ფეისბუქი) აქტივობებისა და მუნიციპალიტეტში მიმდინარე უახლესი ამბების განთავსება.

2016 წელს გამგეობასა და საკრებულოში დაიწყო და წარმატებით ფუნქციონირებს საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის eDocument მუშაობა, რომლის ტექნიკურ მხარდაჭერას ახორციელებს ანალიტიკური განყოფილება. მოხდა პროგრამის განახლება eDoc-ის ტექნიკური სამსახურის მიერ და შესაბამისად ანალიტიკური განყოფილების მიერ მოხდა ყველა კომპიუტერში შესაბამისი პროგრამის (eBridge) ჩაწერა და გაშვება.

აღსანიშნავია ასევე ის, რომ 2017 წელს ეტაპობრივად შეიცვალა დაზიანებული ქსელის კაბელები და ასევე მოხდა ახლის დამონტაჟება რამდენიმე ოთახში. ასევე ტექნიკური დახმარება გაეწია თითქმის ყველა ა(ა)იპ (ქსელის მონტაჟი, ოპერატიული სისტემის და პროგრამების ჩაწერა). ყოველდღიურად დახმარება ეწევა მუნიციპალიტეტის მერიის ყველა სამსახურს.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2 სოფელს: ზოტსა და ჩხაკაურას, (უკვე 2018 წლის 1 იანვრიდან ქვაბღას) მიენიჭა მაღალმთიანი დასახლების სტატუსი. 2016 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრები პირთა რეგისტრაციის პროგრამა (MMS) რომელშიც 2017 წლის განმავლობაში ძირითადად ანალიტიკური განყოფილების მიერ ხდებოდა პიროვნებებისთვის მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭება/შეწყვეტა და სტატუსის მინიჭების პროგრამულად გაფორმება.

საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება - მუნიციპალიტეტის მერის გამართული კომუნიკაციის წამართვა სტრუქტურულ და ადმინისტრაციულ ერთეულებსა და წარმომადგენლობით ორგანოსთან, ასევე მოქალაქეებთან, სახელმწიფო ორგანოებთან, იურიდიულ პირებთან და სხვა გაერთიანებებთან, მუნიციპალიტეტის ოფიციალური

ღონისძიებების დაგეგმვა და ორგანიზება, პრესისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გაშუქებული მასალების ანალიზი, მუნიციპალიტეტის მერის სამუშაო შეხვედრების ორგანიზება, მერიის საქმიანობის შესახებ ფოტო, აუდიო და პრესარქივის შექმნის ორგანიზება, ბეჭდვით და სხვა მედიასაშუალებებში გასული ინფორმაციის მონიტორინგი, მუნიციპალიტეტის ვებგვერდისათვის მასალის მომზადების ორგანიზება - აღნიშნული ფუნქციის განხორციელებას უზრუნველყოფს საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება. დაკისრებული მოვალეობების შესრულებისას განყოფილებას ურთიერთობა აქვს მერიის ყველა სტრუქტურულ და ადმინისტრაციულ ერთეულთან, საკრებულოსთან, მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან, შემხვედრი საჭიროებიდან გამომდინარე ყველა სახელმწიფო და კერძო სტრუქტურასთან, აგრეთვე, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტთან (საკონტაქტო პირი). განყოფილება ორგანიზებას უწევს მედიაპროექტ ,,ეტალონის“ განხორციელებას.

2017 წელში პირის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისიის მიერ განხილული იქნა 1 საკითხი და გაიცა პირის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების ან/და კონკრეტულ დღეს ყოფნის ფაქტის დამადასტურებელ ცნობა, რომელიც შესაძლებელია იყოს საქართველოს მოქალაქეობის დადგენის საფუძველი. აღნიშნულ კომისიას ხელმძღვანელობს ადმ. სამსახურის უფროსი, კომისიის შემადგენლობაში შედიან იურიდიული განყოფილების უფროსი და ამავე განყოფილების უფროსი სპეციალისტი.

ადმინისტრაციულმა სამსახურმა აქტიური მონაწილეობა მიიღო ,,საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის ახალი ვარიანტის შესაბამისად განსახორციელებელ ღონისძიებებში. კერძოდ 2017 წლის 1 ივლისამდე უზრუნველყო დაწესებულებაში არსებული თანამდებობების იერარქიულ რანგებში განაწილება, ასევე საჯარო დაწესებულებაში დასაქმებულ პირთა პროფესიულ საჯარო მოხელეებად გარდაქმნა. რიგი ღონისძიებები გატარდა 2017 წელში განხორციელებულ თვითმმართველობის რეფორმასთან დაკავშირებით, კერძოდ ცვლილებები შეეხო მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ შემუშავებულ სამართლებრივ აქტებს. აქტიურად იყო ჩაბმული სამსახური მერიაში განხორციელებული რეორგანიზაციის პროცესში, რომლის შესაბამისადაც მთლიანად შეიცვალა მერიის სტრუქტურა და მასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტები.

2017 წელს ჩატარდა გამარტივებული კონკურსები შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების შერჩევის მიზნით. აქედან უმეტეს შემთხვევაში გასაუბრებაზე უფლებამოსილ პირად ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი განისაზღვრა.

,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს მოთხოვნებიდან გამომდინარე გამგეობაში საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირად დადგენილია ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი. საჯარო ინფორმაციის გაცემის კუთხით მდგომარეობა ასეთია: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიაში მიმდინარე წელს შემოსულია საჯარო ინფორმაციის გაცემის 47 მოთხოვნა. ყველა მოთხოვნა დაკმაყოფილდა. გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ არ მიღებულა. საჯარო ინფორმაციაში შესწორების შესახებ მოთხოვნა არ შემოსულა.

საჯარო დაწესებულების მიერ შეგროვდა და დამუშავდა პერსონალურ მონაცემთა ბაზები.

საჯარო მოსამსახურეთა მიერ ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს მოთხოვნათა დარღვევისა და პასუხისმგებელ პირებზე დისციპლინური სახდელის დადების ფაქტი არ გამოვლენილა.

სამხედრო აღრიცხვის, გაწევისა და მობილიზაციის სამსახურში საანგარიშო პერიოდში შემოსულია - 205 კორესპოდენცია. პასუხი გაეცა წერილობით - 168 ადრესატს, სათანადო პასუხი გაეცა მოქალაქეთა 18 განცხდებას.

სამოქალაქო რეესტრიდან შემოვიდა 39 ამონაწერი: წვევამდელთა და რეზერვისტთა საცხოვრებელი ადგილის ცვლილებასთან დაკავშირებით, რაზედაც სამსახურის მიერ გაკეთდა სათანადო რეაგირებები.

მოქალაქეებზე გაცემულია 40 სხვადასხვა სახის ცნობა.

ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამრთლებრივი აქტის საფუძველზე რეზერვში ჩაირიცხა 190 მოქალაქე. აქედან ზღვრული ასაკის შესრულების გამო 161. სავალდებულო სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის გამო 29.

სამსახურის მიერ გაცემული იქნა რეზერვისტის დროებითი 30 მოწმობა,სამხედრო სააღრიცხვო მოწმობა - 52.

თავდაცვის სამინისტროს საკონტრაქტო სამსახურში გაიგზავნა 9 მოქლაქე.

თავდაცვის სამინისტროდან შემოვიდა საკონტრაქტო სამსახურიდან დათხოვნილ მოქალაქეთა 27 პირადი საქმე, რასაც გაუკეთდა სათანადო რეაგირებები.

სხავადასხვა უწყებიდან შემოსული მომართვების საფუძველზე სპეცილურ აღრიცხვაზე აყვანილი იქნა 16 მოქალაქე. სპეციალური აღრიცხვიდან მოიხსნა და საერთო აღრიცხვაზე გადაყვანილ იქნა 9 .

2017 წლის გაზაფხულზე პირველად სამხედრო აღრიცხვაზე აყვანილია 2000 წელს დაბადებული 90 ჭაბუკი. სამსახურში ფუნქციონირებს გამწვევი კომისია. საანგარიშო პერიოდში ჩატარდა 25 სხდომა. მიღებულია 259 გადაწყვეტილება. აქედან გაწვევის შესახებ 82, გადავადების შესახებ 177. თბილისის შემკრებ-გამანაწილებელ პუნქტში სამედიცინო კომისიაზე გადაყვანილი იქნა 61 წვევამდელი.

სამხედრო სავალდებულო სამსახურში ჩარიცხულ იქნა გეგმით გათვალისწინებული 24 წვევამდელი. ჯანმრთელობის მგომარეობის გამო გადაუვადდა გაწვევა 37 წვევამდელს.

საანგარიშო პერიოდში მუნიციპალიტეტში 102 კულტურულ - სპორტული ღონისძიება გაიმართა. აქედან ახალგაზრდული პოფილით - 30 ღონიძიება, სპორტულ-გამაჯანსაღებელი მიმართულებით - 40, საგანმანათლებლო და შემეცნებითი მიმართულებით 32 ღონისძიება.

გასული წლის შეჯამებისას შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო სოციალური პროგრამებისა და ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსების მხრივ გამორჩეული წელი.